# საერთო გაზეთი

№11 (422) • 22 მარტი, 2017 წ. • სპეციალური გამოცემა • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლ.

## ნაცმოძრაობა, რუსთავი-2“-ის ფსევდონომით, საქართველოს სტრასბურგში უჩივის










## დონალდ ტრამპი: ჩვენ არ მოვახვევთ ჩვენი ცხოვრების წესს სხვას, არამედ ვიბრწყინებთ, რათა სხვებმა მოგვბაძონ





# ნაცმოძრაობა, რუსთავი-2“-ის ფსევდონიმით, საქართველოს სტრასბურგში უჩივის



რამდენიც უნდა იფარისევლონ ვიღაც-ვიღაცებმა, რამდენიც უნდა იდემაგოგონ და იტინგიცონ, ფაქტია, რომ „რუსთავი-2“ „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული ტელევიზიაა და სარჩელი სახელწოდებით „რუსთავი-2“ საქართველოს წინააღმდეგ“ სინამდვილეში ასე უნდა გადასათაურდეს — „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს წინააღმდეგ.

მოკლედ რომ ვთქვათ, „ნაციონალური მოძრაობა“ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს უჩივის.

უფრო დიდი უსამართლობა და უტიფრობა გაგონილა? — იმის ნაცვლად, რომ საქართველო უჩიოდეს „ნაცმოძრაობას“, რომელმაც ცხრა წლის განმავლობაში ფეხქვეშ გათელა ადამიანის უფლებები და უამრავი სასტიკი და შემზარავი დანა-



შაული ჩაიდინა საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ, თვითონ უჩივის მის მსხვერპლს — საქართველოს.

მართალია, „ნაცმოძრაობა“ ამას საკუთარი ხელით არ აკეთებს და საჩივრის საბაბად და მოტივად მის პარტიულ ორგანოს იშველიებს, რომელიც თურმე სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხის წინაშე დგას, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ამას რა მნიშვნელობა აქვს — „რუსთავი-2“-ის გამარჯვება ხომ „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე ასხამს წყალს და პირდაპირ უკავშირდება მისი პარტიული და პოლიტიკური ინტერესების პროპაგანდის, რეკლამირებისა და ტირაჟირების საქმეს.

ასე რომ, „რუსთავი-2“ „ნაცმოძრაობის“ ფსევდონიმია, ანუ იგივე „ნაცმოძრაობაა“, თუმცა „რუსთავი-2“ ამას კატეგორიულად უარყოფს — რა „ნაცმოძრაობა“, რისი „ნაცმოძრაობა“ — მე დამოუკიდებელი და კერძო ტელეკომპანია ვარო.

დაახლოებით იგივე სურათია, „ისკრას“ რედაქციას რომ დაეჩემებინა, რა ლენინი, რისი ლენინი, ეგეთ ვინმეს საერთოდ არ ვიცნობთო.

„ნაცმოძრაობის“ სიმაღლეში გაზრდილი ლენინი სააკაშვილი და ბოკერია-უგულავა-ბაქრაძის „ტროსკისტულ-უკლონისტური“ დაჯგუფების წევრები, რომლებმაც სახელი კი გადაირქვეს, მაგრამ იდეურად იგივენი დარჩნენ, რაც იყვნენ, საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს პირადი ინტერესები კი არ ამოძრავებთ, სიტყვის თავისუფლების და დემოკრატიის ბედი აწუხებთ.

მოკლედ რომ ვთქვათ, „ნაცმოძრაობა“, კოდური სახელწოდებით „რუსთავი-2“, სტრასბურგში იმ საქართველოს უჩივის, რომელსაც ცხრა წლის განმავლობაში აუპატიურებდა და ფეხქვეშ თელავდა, რაც თითქმის იგივეა, ყაჩაღმა დაყაჩაღებულს უჩივლოს, ჯალათმა მის მიერ ნაწამებს, მკვლელმა კი — მის მიერ მოკლულს, სტრასბურგის სასამართლო კი ამ საჩივარს უყოყმანოდ, ოპერატიულად, ერთ დღეში იღებს წარმოებაში, თითქოს არ იცოდეს, ეს „რუსთავი-2“ ვისია და რა შავბნელი ძალები დგანან მის უკან.

„რუსთავი-2“ ყველა იმ დანაშაულის მხარდამჭერი და „გამპრავებელია“, რაც „ნაცმოძრაობას“ აქვს ჩადენილი, ამის შესახებ კი სტრასბურგის სასამართლოს თითქოს არაფერი სმენია.

სიტყვის თავისუფლების დაცვის საბაბით რომ აჩერებს სტრასბურგის სასამართლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას კერძო საკუთრებასთან დაკავშირებით, ნუთუ მას არაფერი სმენია ტელეკომპანია „იბერიის“, ტელეკომპანია „იმედის“, სხვადასხვა მშვიდობიანი აქციების სასტიკად დარბევის შესახებ?

სად იყო მაშინ სტრასბურგის სასამართლო და რატომ არ გამოხატა თავისი დამოკიდებულება იმ უამრავი ალმაშფოთებელი ფაქტის შესახებ, რასაც „ნაცმოძრაობა“ ჩადიოდა?

ვინ აღჭურვა „ნაცმოძრაობა“ ექსკლუზიური უფლებით, საქართველოში სადამსჯელო-საეგზეკუციო დესანტივით ეთარეშა, ქუჩაქუჩა ეხვრიტა უდანაშაულო ხალხი, ეწამებინა, ციხეში ჩაეყარა ათიათასობით ადამიანი, ეძარცვა მოსახლეობა, დაერბია საინფორმაციო საშუალებები, აბუჩად აეგდო ადამიანის უფლებები?

ვინ აღჭურვა „ნაცმოძრაობა“ ამ უფლებით და ისეთი რა ძალები მფარველობენ მას დღემდე, რომ მისი დემაგოგია და ტყუილები სიმართლედ ფასდება, ჩვენი სიმართლე კი — ტყუილად და სიცრუედ?

2012 წელს, ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ დამარცხების შემდეგ, გაჩნდა იმედი, რომ ბოლოსდაბოლოს გაიმართებოდა ქართული ნიურნბერგის პროცესი, სადაც დამნაშავე „ნაცები“ საკადრისად გასამართლდებოდნენ და ამაში ქართველი ხალხის გვერდით დადგებოდნენ ის საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებიც ჰუმანიზმს, კაცთმოყვარეობას, ადამიანის უფლებათა დაცვას ქადაგებენ.

სამწუხაროდ, საქმე ისე წავიდა, რომ საქართველომ კი არა, შეიძლება თვითონ ნაცებმა მოუწყონ სასქართველოს ნიურნბერგის პროცესი და მოკავშირეებად ადამიანის უფლებათა დამცველი




„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



რა არის ეს? რას ნიშნავს ეს? როგორ შეიძლება ამ გაუგონარი ცინიზმის ახსნა, რომელიც ქართველ ხალხს უკიდურესად შეურაცხყოფს და სკეპტიკურად განაწყობს იმ დასავლური ღირებულებების მიმართ, რომლებზეც მან გააკეთა არჩევანი.

ხომ არ დადგა დრო, ახლა საქართველომ უჩივლოს „ნაცმოძრაობას“ სტრასბურგში და სტრასბურგის მოსამართლეებს „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილი შემზარავი დანაშაულების ამსახველი ასობით და ათასობით ტომი დაულაგოს წინ?

თუ ეს არ გაკეთდება, ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: როგორც დამნაშავე ბრუნდება დანაშაულის ჩადენის ადგილას, რომ დანაშაულის კვალი წაშალოს, ზუსტად ისე უნდა „ნაცმოძრაობას“ ხელისუფლებაში დაბრუნება, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოსპოს მის მიერ ჩადენილ ბოროტებათა კვალი, ამის განხორციელება კი მას აუცილებლად უბიძგებს ახალი დანაშაულებების ჩადენისკენ.

აი, ამას უჭერს მხარს სტრასბურგის სასამართლო, როცა სიტყვის თავისუფლების დაცვის სახელით ცდილობს „ნაცმოძრაობას“ ის საერთაშორისო ინსტიტუტები ამოიყენონ გვერდით, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ.

არ არის გამორიცხული, ამ ინსტიტუტებში სტრასბურგის სასამართლოც აღმოჩნდეს, რომელმაც, ექსპერტების აზრით, თავისი მართლაც უპრეცედენტო გადაწყვეტილებებით, ფაქტობრივად, ხელყო საქართველოს სუვერენიტეტი.

ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, თუ როგორი ოპერატიულობით იქნა დაწყებული ვანო მერაბიშვილის საქმის განხილვა, რომელიც ჩივის, რომ თურმე ღამით საკნოდან გაიყვანეს პროკურატურის თანამშრომლებმა და მასზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენას ცდილობდნენ მათთვის სასურველი ჩვენების მისაღებად.

გამოძიებით ეს ფაქტი არ დასტურდება, თუმცა დავუშვათ და მართლაც გაიყვანეს მერაბიშვილი საკნიდან, გაიყვანეს და საღ-სალამათი შემოაბრუნეს უკან ისე, რომ თმის ერთი ღერიც არ ჩამოვარდნია, მაგრამ მერაბიშვილის და მისი უწყების მიერ სახლებიდან გაყვანილ იმ უდანაშაულო ადამიანების გრძელ სიას რა ვუყოთ, რომლებიც სახლებში ვერასოდეს ვერ დაბრუნდებიან ვანოს და მისი ბიჭების, ვანოს და მისი პარტიული ძმაკაცების მიერ ლინჩის წესით გამოტანილი სასტიკი განაჩენის გამო?

სტრასბურგის სასმართლო, თუ ის მართლაც ადამიანის უფლებათა დამცველი სასამართლოა, პირველყოვლისა, ალბათ, იმაზე უნდა ბჭობდეს, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველოში მთელი ცხრა



წლის განმავლობაში ეპარპაშა ფაშისტურ რეჟიმს, რომლის მთავარ ფიგურებს და შემოქმედებს დემოკრატიის შუქურებს, ადამიანის უფლებათა დამცველებს უწოდებდნენ და დღემდე უწოდებენ მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობის წარმომადგენლები.

„ნაცმოძრაობა“ თავისი განაყოფებიან-სატელიტებიანად აუცილებლად მობრუნდება უკან და მერე ნახეთ თქვენ დუბინკებით და ცოცხის ტარებით ადამიანების გაუპატიურება, ქონებების წართმევა და დაყაჩაღება, უდანასაულო ადამიანების ციხეებში ჩაყრა და მასობრივი რეპრესიები.

შეუნარჩუნოს თავის დროზე სხვებისთვის წართმეული და მერე მის პარტიულ ტელევიზიად გადაკეთებული „რუსთავი-2“, რომლის გარეშეც „ნაცმოძრაობას“ გაუჭირდება დასახული მიზნის, ხელისუფლებაში დაბრუნების, განხორციელება?

**ვახტანგ ხარჩილავა**




**P.S. ბატონმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხდა, რომ „რუსთავი-2“-ს ძალიან დიდი სახელმწიფო დავალიანება აქვს, მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მთავრობა ჯერჯერობით თავს იკავებს საჭირო ზომების გასატარებლადო.**

**ლაპარაკია მილიონებზე, რომლებსაც „პატიოსანი“ და „კანონმორჩილი“ ნიკა გვარამია არა და არ იხდის.**

**სიტყვის თავისუფლებისთვის მებრძოლ გვარამიას ისეთი წვრილმანი საქმისთვის, როგორიც გადასახადების გადახდაა, სად ცალია, მაგრამ თქვენ რატიმ არ ასრულებთ თქვენს მოვალეობას და რატომ არღვევთ კანონს, ბატონო დიმიტრი, აი, ეს კი ნამდვილად მაკვირვებს.**

**რომელიმე მინისტრის კერძო ვალი კი არა, ხალხის, ბიუჯეტის ფულია ეგ ფული, გვარამია რომ არ იხდის და ვის აქვს უფლება, ხალხის ფული ვიღაცას არ გადაახდევინოს?**

**ამერიკაში, ევროპაში, გნებავთ, აზიაში, თუნდაც აფრიკაში, მსგავსი რამ რომ გაბედოს რომელიმე მაღალჩინოსანმა, ან რომელიმე ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ციხეში უკრავენ თავს.**

**გვარამია ისეთი რა წითელი კოჭია, რომ გადასახადებსაც კი არ იხდის და თან დედმამის სულს უტრიალებს იმ ხელისუფლებას, რომელიც გადასახადებს არ ახდევინებს.**

**იქნებ, ახლა მაინც ჩაიხედოს ვინმემ „რუსთავი-2“-ის საბუღალტრო დავთრებში და იქ „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩამოწერილ იმდენ მილიონებს ნახავს, იმ ფულით ორ „რუსთავი-2“-ს იყიდდა კაცი.**

**ახლა „ქართული ოცნება“ ხომ არ აპირებს „ნაცმოძრაობის“ პარტიული ტელევიზიისთვის ვალების პატიებას იმის შიშით, რომ ეს ინტრიგანი და პროვოკატორი „რუსთავი-2“ გადასახადების გადაუხდელობის გამო ეთერიდან რომ გავთიშოთ, შეიძლება ეს ყველაფერი სიტყვის თავისუფლების და დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლად ჩაგვითვალონო.**

**შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა ხომ კანონის აღსრულებაა.**

**ჰოდა, იმოქმედეთ კანონის მიხედვით, რადგან კანონის დარღვევაც ვინმეს სასარგებლოდ ისეთივე დანაშაულია, როგორც გადასახადების გადაუხდელობა...**

**ვ. ხ.**

## დონალდ ტრამპი:

# ჩვენ არ მოვახვევთ ჩვენი ცხოვრების წესს სხვას, არამედ ვიბრწყინებთ, რათა სხვებმა მოგვბაძონ

### ფრაგმენტები დონალდ ტრამპის საინაუგურაციო გამოსვლის ტექსტიდან



„ჩვენ ვამდიდრებდით უცხოურ ინდუსტრიებს ამერიკული ინდუსტრიების ხარჯზე, ვაფინანსებდით სხვა ქვეყნის არმიებს მაშინ, რომ ჩვენ არმიას ვაძლევდით გამოფიტვის საშუალებას; ჩვენ ვიცავდით სხვა ქვეყნის საზღვრებს, როცა არ ვიცავდით საკუთარს; ოკეანის გადაღმა ვხარჯავდით ტრილიონობით დოლარს მაშინ, როცა ჩვენი ინფრასტრუქტურა მოშლილი და დასუსტებულია“.

„ჩვენ გვექნება ორი მთავარი წესი: იყიდე ამერიკული და დაიქირავე ამერიკელი“.

დღევანდელ ცერემონიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენ



უბრალოდ კი არ გადავცემთ ძალაუფლებას ერთი ადმინისტრაციიდან მეორეს, ან ერთი პარტიიდან — მეორე პარტიას, არამედ ჩვენ ძალაუფლებას ვაშინგტონიდან გადავცემთ და გიბრუნებთ თქვენ, ამერიკელ ხალხს.

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ადამიანთა მცირე ჯგუფი სარგებლობდა ხელისუფლების სიკეთეებით. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ამის საფასურს მოსახლეობა იხდიდა.

ვაშინგტონი აყვავდა, მაგრამ ადამიანებმა ეს ვერ იგრძნეს თავიანთ ქონებაზე.

პოლიტიკოსებიც გაიფურჩქნენ, მაგრამ ქარხნები დაიკეტა და სამუშაო ადგილები გაქრა.

ისტებლიშმენტი იცავდა საკუთარ თავს, მაგრამ არა — ქვეყნის მოქალაქეებს.

მათი გამარჯვება არ იყო თქვენი გამარჯვება, მათი ტრიუმფი არ იყო თქვენი ტრიუმფი და როცა ისინი ზეიმობდნენ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, სულაც არ ეზეიმებოდათ ოჯახებს ჩვენს ქვეყანაში.

ყველა ცვლილება იწყება აქ, ამ წუთას, რადგან ეს მომენტი თქვენი მომენტია — ის თქვენ გეკუთვნით. ის გეკუთვნით თქვენ, ვინც აქ შეიკრიბეთ და ყველას, რომლებიც ახლა გვიყურებთ მთელი ამერიკის მასშტაბით.

ეს თქვენი დღეა, ეს თქვენი ზეიმია, ეს ამერიკის შეერთებული შტატები თქვენი ქვეყანაა.

რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია, არის არა ის, რომელი პარტია აკონტროლებს ხელისუფლებას, არამედ ის, ხელისუფლება კონტროლდება თუ არა ხალხის მიერ.

ჩვენ 2017 წლის 20 იანვარს მოვიგონებთ იმ დღედ, როცა ხალხი ისევ გახდა თავისი ქვეყნის მმართველი.

ჩვენი ქვეყნის დავიწყებული მოქალაქეები ამიერდან არასდროს იქნებიან დავიწყებულნი. ახლა ყველა თქვენ გისმენთ.

ათეულ მილიონობით თქვენგანი გახდა ნაწილი ისეთი ისტორიული მოძრაობისა, რომლიც მსგავსი მსოფლიოს არ უნახავს. ამ მოძრაობის შუაგულში არის მნიშვნელოვანი რწმენა იმისა, რომ სახელმწიფო არსებობს იმისთვის, რათა ემსახუროს თავის მოქალაქეებს.

...დეკადების განმავლობაში ჩვენ ვამდიდრებდით უცხოურ ინდუსტრიებს, ამერიკული ინდუსტრიების ხარჯზე, ვაფინანსებდით სხვა ქვეყნის არმიებს მაშინ, რომ ჩვენს არმიას ვაძლევდით გამოფიტვის საშუალებას; ჩვენ ვიცავდით სხვა ქვეყნის საზღვრებს, როცა არ ვიცავდით საკუთარს; ოკეანის გადაღმა ვხარჯავდით ტრილიონობით დოლარს მაშინ, როცა ჩვენი ინფრასტრუქტურა მოშლილი და დასუსტებულია.

ჩვენ ვამდიდრებდით სხვა ქვეყნებს მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, სიძლიერე და თავდაჯერებულობა ჰორიზონტიდან გაქრა,

ჩვენი საშუალო კლასის სიმდიდრე გაქრა მათი სახლებიდან და განაწილდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

მაგრამ ეს წარსულია და ახლა ჩვენ მხოლოდ მომავლისკენ ვიხედებით.

...ჩვენ გვექნება ორი მთავარი წესი: იყიდე ამერიკული და დაიქირავე ამერიკელი.

ჩვენი ინტერესი იქნება მეგობრული ურთიერთობის დამყარება დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებთან, მაგრამ ჩვენ ამას ვიზამთ იმის გაცნობიერებით, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება, მისი საკუთარი ინტერესი იყოს უპირატესი.

ჩვენ არ მოვახვევთ ჩვენი ცხოვრების წესს სხვას, არამედ ვიბრწყინებთ, რათა სხვებმა მოგვბაძონ.

ჩვენ გავამყარებთ ძველ კავშირებს და ჩამოვაყალიბებთ ახალს და გავაერთიანებთ ცივილიზებულ სამყაროს რადიკალური ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ, რომელიც სრულად აღიგვება დედამიწიდან.

ჩვენი პოლიტიკის დედააზრი იქნება ამერიკის შეერთებული შტატებისადმი ერთგულება და ჩვენი ქვეყნისადმი ერთგულებით, ჩვენ ერთმანეთის ერთგულებასაც მოვიპოვებთ.

როდესაც გულს გაუღებთ პატრიოტიზმს, იქ ცრურწმენისთვის ადგილი არ დარჩება.

ბიბლია გვეუბნება ჩვენ, „თუ რა კარგი და სასიამოვნოა როცა ღვთის შვილები ცხოვრობენ ერთად და ერთსულოვნად“.

ჩვენ ჩვენი მოსაზრებები ღიად უნდა გამოვხატოთ, ვიკამათოთ გულწრფელად უთანხმოებებზე, მაგრამ ყოველთვის უნდა ვიქონიოთ სოლიდარობა. როცა ამერიკა ერთიანია, ამერიკა შეუჩერებელია.

არ უნდა იყოს შიში — ჩვენ დაცულები ვართ და ყოველთვის დაცული ვიქნებით.

ჩვენ დაცული ვიქნებით სამხედროებისა და პოლიციელების მიერ და ყველაზე მთავარი, ჩვენ გვიცავს ღმერთი.

საბოლოოდ, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, უფრო მასშტაბურად და უნდა ვიოცნებიოთ კიდევ უფრო მეტად. ამერიკაში ჩვენ გვესმის, რომ სახელმწიფო იმდენ ხანს ცოცხლობს, რამდენ ხანსაც რაღაცისკენ ისწრაფვის.

ჩვენ არასდროს არ უნდა მივიღოთ ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც სულ ლაპარაკობენ და ნაბიჯს არ დგამენ — მუდმივად წუწუნებენ და არაფერს არ აკეთებენ.

ფუჭი საუბრის დრო დამთავრდა, ახლა მოქმედების დროა.



# საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუ“-ს საქმიანობის 2016 წლის პროგრამული ანგარიში

| № | პროექტის დასახელება | თანხა (ლარი) |
|---|---|---|
| | კულტურა (ხელოვნება) | |
| 1 | საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო | |
| 1,1 | ხელოვნების დამსახურებული მუშაკები (სოციალური დახმარება) | 3 204 100,00 |
| 1,2 | შ.რუსთაველის სახ.თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 549 600,00 |
| 1,3 | კ.მარჯანიშვილის სახ.თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 548 100,00 |
| 1,4 | მ.თუმანიშვილის სახ.თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 162 288,00 |
| 1,5 | ალ.გრიბოედოვის სახ.თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 549 724,00 |
| 1,6 | ნ.დუმბაძის სახ.მოზარდ მაყურებელთა თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 249 999,96 |
| 1,7 | მარიონეტების სახელმწიფო თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 150 000,00 |
| 1,8 | თითების თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 81 600,00 |
| 1,9 | ვ.აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 54 000,00 |
| 1.10 | თბილისის თეატრალური ცენტრი - თავისუფალი თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 199 992,00 |
| 1,11 | თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (პედაგოგების სოციალური დახმარება) | 188 400,00 |
| 1,12 | ანსამბლი "რუსთავი" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 147 600,00 |
| 1,13 | ანსამბლი "რუსთავი" (მოცეკვავეთა სოციალური დახმარება) | 72 000,00 |
| 1,14 | ანსამბლი "ქართული ხმები" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 451 800,00 |
| 1,15 | ანსამბლი "თბილისი" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 115 200,00 |
| 1,16 | ანსამბლი "სავანე" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 150 000,00 |
| 1,17 | ანსამბლი "იმერი" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 71 500,00 |
| 1,18 | ანსამბლი "დიელო" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 72 000,00 |
| 1,19 | ანსამბლი "რერო" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 96 000,00 |
| 1.20 | ანსამბლი "ორერა" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 35 000,00 |
| 1,21 | ანსამბლი "ივერია" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 132 000,00 |
| 1,22 | ანსამბლი "ქუჩის მუსიკოსები" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 85 200,00 |
| 1,23 | ანჩისხატის ეკლესია (მგალობელთა გუნდის სოციალური დახმარება) | 60 000,00 |
| 1,24 | კვარტეტი "ფიროსმანი" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 23 500,00 |
| 1,25 | ანსამბლი "ოროველა" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 84 000,00 |
| 1,26 | ი.ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 36 420,00 |
| 1,27 | ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახ. მუზეუმი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 27 360,00 |
| 1,28 | ვარძიის ისტორიულ - ხუროთმოძღვრული მუზეუმი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 30 000,00 |
| 1,29 | აკაკი წერეთლის სახლ - მუზეუმი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 36 420,00 |

| | | |
|---|---|---|
| 2 | საერთაშორისო კულტურულ - საგანმანათლებლო კავშირი"რუსული კლუბი" (პროექტები: ჟურნალ "რუსული კლუბი" - ს გამოცემა, ნორჩი მსახიობის თეატრი - სტუდია "ზოლოტოე კრილცო", სპექტაკლ "ალუბლის ბაღი" - ს გასტროლები, მ. ტარევერდიევის საიუბილეო საღამო, საახალწლო წარმოდგენა.) | 681 236,28 |
| 3 | ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი (საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების რესტავრაცია) | 12 430 688,70 |
| 4 | ააიპ "ცისფერი მთები" (სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის "სავარძელი" გადაღება) | 750 000,00 |
| 5 | სსიპ "ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი" (ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის განვითარების ხელშეწყობა, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს მონაწილეობის ორგანიზება, ორენოვანი წიგნის "ქართული დამწერლობა და შრიფტი. ისტორია, თანამედროვეობა" გამოცემა) | 215 238,00 |
| 6 | ააიპ "სტურუა პროდაქშენ" (მოსკოვის თეატრის "Et cetera" - ს სპექტაკლების "შეცდომათა კომედია" და "მეფე უბუ" - ს ჩვენება შ. რუსთაველის სახელობის თეატრში) | 174 445,61 |
| 7 | სსიპ ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი (საპრემიერო სპექტაკლის "სამოსელი პირველი" დადგმა) | 148 000,00 |
| 8 | სსიპ ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი (საპრემიერო სპექტაკლის "კარმენი" დადგმა) | 745 331,17 |
| 9 | სსიპ ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი (საპრემიერო სპექტაკლის "ნაცარქექია" დადგმა) | 207 498,87 |
| 10 | სსიპ ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი (საპრემიერო სპექტაკლის "წუნა და წრუწუნა" დადგმა) | 111 332,00 |
| 11 | სსიპ "საქ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი" (პროექტი - "მეფე ერეკლე ინგლისურ პრესაში") | 20 000,00 |
| 12 | სსიპ "კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდი" (საქართველოში დაგეგმილი ფართომასშტაბიანი პროექტის "CHECK IN GEORGIA" - ს ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა) | 9 000 000,00 |
| 13 | ოდიშარია მირიანე (რომანის - "პრეზიდენტის კატა" თარგმანი) | 19 206,86 |
| 14 | ჭირაქაძე გია (ვარსკვლავის გახსნასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად) | 20 312,00 |
| 15 | სტურუა რობერტი (წიგნის - "თავისუფლების ორი წელი" გამოცემა) | 30 126,20 |
| 16 | სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (ლიტერატურული თეატრი - ქართველი მწერლების ნაწარმოებების აუდიო წიგნებად გამოცემა) | 30 500,00 |
| 17 | წმინდა სამების საკათედრო ტაძრის საკურთხევლის მოხატვა - I ეტაპი | 175 917,40 |
| | **სპორტი** | |
| 1 | საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო | |
| 1,1 | სპორტსმენები და მწვრთნელები (სოციალური დახმარება) | 3 721 100,00 |
| 1,2 | საქ. ფარიკაობის ეროვნული ფედერაცია | 125 000,00 |
| 1,3 | წყალბურთის სპორტული კლუბი "ივერია" | 260 000,00 |
| 1,4 | საქ. სამბოს ეროვნული ფედერაცია | 140 000,00 |
| 1,5 | საქართველოს რაგბის კავშირი | 1 700 000,00 |
| 1,6 | რაგბის კლუბი "ლელო" | 39 658,00 |
| 1,7 | რაგბის კლუბი "ყოჩები" | 40 000,00 |
| 1,8 | საქ. მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაცია | 170 000,00 |
| 1,9 | საქ. ჭადრაკის ეროვნული ფედერაცია | 65 000,00 |
| 1.10 | საქ. სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია | 45 000,00 |
| 1,11 | საქ. ძიუდოს ეროვნული ფედერაცია | 140 000,00 |
| 1,12 | საქ. ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია | 150 000,00 |
| 1,13 | საქ. კრივის ეროვნული ფედერაცია | 100 000,00 |
| 1,14 | საქ. კიოკუშინკაი კარატედოს ფედერაცია | 75 000,00 |
| 1,15 | საქ. ჩოგბურთის ფედერაცია | 120 000,00 |
| 1,16 | საქ. სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია | 310 000,00 |
| 1,17 | საქ. ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია | 70 000,00 |
| 1,18 | საქ. ხელბურთის ეროვნული ფედერაცია | 139 900,63 |

| | | |
|---|---|---|
| 1,19 | საქ. ტაეკვანდოს ეროვნული ფედერაცია | 45 565,00 |
| 2 | საფეხბურთო კლუბი "საჩხერის ჩიხურა" | 800 000,00 |
| 3 | საჩხერის სარაგბო კლუბი "ჯრუჭი" | 80 000,00 |
| | **ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ** | |
| 1 | ექიმების სოციალური დახმარება (საქველმოქმედო - სამედიცინო საქმიანობა საჩხერის რაიონში) | 167 400,00 |
| 2 | კავშირი "დოსტაქარი" (საჩხერის საავადმყოფოს ფუნქციონირება, ურეკის გადაუდებელი სამედიცინო დახმარება) | 700 000,00 |
| 3 | ფიზიკური პირების მკურნალობის დაფინანსება | 1 231 741,85 |
| | **ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ** | |
| 1 | სსიპ "შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი" | |
| 1,1 | ააიპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი (პროექტი - "საქ. ეროვნული ბოტანიკური ბაღის განვითარების ძირითადი მიმართულებები 2016 წელს", თანამშრომლების ხელფასები, კომუნალური გადასახადები, ავტომანქანების და ტრაქტორების მომსახურება, უნიფორმები და საბაღოსნო ინვენტარი, ბოტანიკური ექსპედიციები და სამეცნიერო მივლინებები, კომპიუტერული ტექნიკა, პუბლიკაციების გამოქვეყნება, სამეცნიერო ლიტერატრის შეძენა, სასუქები და შხამქიმიკატები, ბაღის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.) | 787 511,80 |
| 1,2 | სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი (პროექტი - "ბოტანიკის ინსტიტუტის განვითერება 2016 წელს", თანამშრომლების ხელფასები, ავტოტრანსპორტის მომსახურება, ბოტანიკური ექსპედიციები და სამეცნიერო მვლინებები, ჰერბარიუმის შენობის მიმდინარე რემონტი და საოფისე ხარჯები.) | 225 000,00 |
| 1,3 | მეცნიერებათა აკადემიიის აკადემიკოსები და წევრ - კორესპონდენტები (სოციალური დახმარება) | 872 000,00 |
| 1,4 | ბათუმის ბოტანიკური ბაღი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 326 760,00 |
| 1.5 | სსიპ "შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი" - ს თანამშრომლების ხელფასი | 4 186,20 |
| 2 | ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია (ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქციის განვითარების ხელშეწყობა 2016) | 20 000,00 |
| | **ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ** | |
| 1 | ააიპ "კავკასიის ფრანგული სკოლა" (სკოლის შენობის იჯარა) | 390 000,00 |
| 2 | ააიპ "მოქალაქე" (პროექტი - "საქართველოს მასშტაბით სასკოლო ოლიმპიადის ორგანიზება სამოქალაქო განათლებაში") | 980 144,22 |
| 3 | ააიპ "მოქალაქე" (პროექტი - "ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდასაჭერი კონკურსის ორგანიზება") | 839 293,47 |
| 4 | ააიპ "მოქალაქე" (პროექტი - "საზაფხულო ეკობანაკი - 2016") | 295 802,84 |
| 5 | ააიპ "მოქალაქე" (ახალგაზრდული ორგანიზაციის "სამოქალაქო ინიციატივების პლატფორმის" ხელშეწყობა) | 14 621,01 |
| 6 | ააიპ "მოქალაქე" (ახალგაზრდა ლიდერთა საზაფხულო სკოლა) | 45 138,46 |
| 7 | სსიპ "საქართველოს ტექნოლოგიური ინსტიტუტი" (ტექნოლოგიური ინსტიტუტის ორგანიზაციული მოწყობისა და უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობა) | 653 521,11 |
| 8 | სსიპ "შ.რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი" (წმიდა ტბელ აბუსერისძის სახ.სასწავლო უნივერსიტეტი) | 240 000,00 |
| 9 | მსოფლიო ისტორიის საკვანძო მოვლენები და საქართველო - წიგნების სერიის მომზადება | 50 100,00 |
| | **ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ (ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ "ᲐᲢᲣ")** | |
| 1 | პროექტი - "ზ.ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის რეაბილიტაცია" (სარემონტო სამუშაოები) | 300 000,00 |
| 2 | პროექტი - "ნატანებში საკონცერტო დარბაზის (BLACK SEA ARENA) მშენებლობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 26 848 786,00 |
| 3 | პროექტი - "მუსიკოსთა პარკის მოწყობა სოფელ ნატანებში საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ" (სამშენებლო სამუშაოები) | 2 728 000,00 |
| 4 | პროექტი - "ურეკის თემატური პარკის საქართველო მინიატურებში მოწყობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 6 879 200,00 |
| 5 | პროექტი - "რაგბის სტადიონების მშენებლობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 11 265 300,00 |
| 6 | პროექტი - "ბათუმის დრამატული თეატრის რეკონსტრუქცია" (სარეკონსტრუქციო სამუშაოები) | 1 835 400,00 |
| 7 | პროექტი - "თბილისის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 114 636,00 |
| 8 | პროექტი - "ბათუმის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 480 880,00 |
| 9 | პროექტი - "საჩხერის რაიონის მოსახლეობის სახლების სახურავების რეაბილიტაცია" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 605 000,00 |
| 10 | პროექტი - "ჯანდაცვა და სოციალური რეაბილიტაცია" (საჩხერის რაიონის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მატერიალური დახმარება) | 820 400,00 |

| | | |
|---|---|---|
| 11 | პროექტი - "ეკოლოგია" (სახანძრო რაზმის მუშაკთა მატერიალური დახმარება) | 48 400,00 |
| 12 | პროექტი - "საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დახმარება" | 369 405,00 |
| 13 | პროექტი - ბათუმის მწერალთა სახლის რეაბილიტაცია" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 698 000,00 |
| 14 | პროექტი - "თბილისის ტექნოლოგიური ინსტიტუტის საპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოები" (საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები) | 521 000,00 |
| 15 | პროექტი - "ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოები" (საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები) | 1 000 000,00 |
| 16 | პროექტი - "სოფელ ციხისძირის ინფრასტრუქტურის მოწყობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 156 600,00 |
| 17 | პროექტი - "საავტომობილო მაგისტრალის რუისი - ურბნისის მონაკვეთზე ინფრასტრუქტურის მოწყობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 2 400 000,00 |
| 18 | პროექტი - "ბათუმისა და ზუგდიდის ბოტანიკური ბაღებისთვის მცენარეების შეძენა" (მცენარეების შეძენა) | 130 000,00 |
| 19 | პროექტი - "თუშეთის დაცული ტერიტორიის რეაბილიტაცია" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 350 000,00 |
| 20 | პროექტი - "საჩხერის სამედიცინო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 120 000,00 |
| 21 | პროექტი - "წვერმაღალაში სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 485 000,00 |
| 22 | პროექტი - "სამების საკათედრო ტაძრის მოსახატად საჭირო მასალები და აღჭურვილობა" (მასალების შეძენა) | 199 800,00 |
| 23 | პროექტი - "თავდაცვის სამინისტროს ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 24 000,00 |
| 24 | პროექტი - "საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სარდაფების, ტროტუარების და ტერასების მოწყობა" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 136 000,00 |
| 25 | პროექტი - "ოზურგეთის თეატრის სარეკონსტრუქციო სამუშაოები" (სარეკონსტრუქციო სამუშაოები) | 99 900,00 |
| 26 | პროექტი - "საგურამოში პარკის რეაბილიტაცია" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 11 300,00 |
| 27 | პროექტი - "განმუხურის პარკის მოსამზადებელი სამუშაოები" (მოსამზადებელი სამუშაოები) | 120 000,00 |
| 28 | პროექტი - "კულტურის სამინისტროსათვის ავტობუსის შეძენა" (თელავის თეატრისთვის ავტობუსის შეძენა) | 115 367,66 |
| 29 | პროექტი - "დაბა ჩაქვში გზის რეაბილიტაცია" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 334 000,00 |
| 30 | პროექტი - "ხელოვნების ნიმუშის ნიკო ფიროსმანის ნახატის "არსენალის მთა ღამით" შეძენა" (ხელოვნების ნიმუშის შეძენა და მუზეუმისთვის გადაცემა) | 3 531 454,00 |
| 31 | პროექტი - "ხელოვნების ნიმუშის ნიკო ფიროსმანის ნახატის "შველი წყლის პირას" შეძენა" (ხელოვნების ნიმუშის შეძენა და მუზეუმისთვის გადაცემა) | 2 057 590,31 |
| | **სოციალურად დაუცველი პირების დახმარება** | |
| 1 | ჯავახეთის ქ.ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ ბავშვთა პანსიონატი (დახმარება) | 241 900,00 |
| 2 | ააიპ საქველმოქმედო ფონდი "ჩემი სახლი" (ყიფშიძის ქუჩა №13ა - ში მდებარე ბავშვთა სახლის კომუნალური გადასახადები და დაზიანებული სახურავის შეკეთება) | 33 509,36 |
| 3 | სოციალურად დაუცველი ფიზიკური პირები (დახმარება) | 196 581,00 |
| 4 | ქ.ზუგდიდის სოციალურად დაუცველი პირები (დახმარება) | 103 200,00 |
| 5 | ომის ვეტერანები (დახმარება) | 85 000,00 |
| | **სხვადასხვა პროექტები** | |
| 1 | ააიპ "ოუფენ ნეტი" (საქ. მოსახლეობის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით ღია დაშვების პრინციპზე დამყარებული ოპტიკურ - ბოჭკოვანი ხაზებით საქართველოს მთელი ტერიტორიის მოცვა - 2016, ფართოზოლოვანი მომსახურების და ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა) | 938 100,00 |
| | **სხვადასხვა** | |
| 1 | ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები | 506 909,37 |
| | | |
| | სულ | 115 493 700,34 |

# საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“

## 2016 წლის ბალანსი

| აქტივი | კოდი (სტრიქონი) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს | პასივი | კოდი (სტრიქონი) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიმდინარე აქტივები | | | | მიმდინარე ვალდებულებები | | | |
| ფული საბანკო ანგარიშებზე ---- (1200) | 010 | 658 486,53 | 13 397,78 | მოწოდ. და მომსახურებ. წარმოქმნილი ვალდებ----(3110) | 150 | 132,50 | 124,25 |
| მოთხოვნები საგადასახადო ვალდებულებებიდან -(1425) | 020 | 2 303,73 | 2 303,73 | გადასახდელი ხელფასები ---- (3130) | 160 | 1 221,63 | 1 221,63 |
| სხვა დებიტორები ---- (1435) | 030 | 2 052,57 | 2 052,57 | სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები ---- (3190) | 170 | 19 609 450,24 | 4 570 557,21 |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი ---- (1600) | 040 | 790,00 | 790,00 | მოკლევადიანი სესხები ---- (3200) | 180 | 0,00 | 0,00 |
| წინასწარ გაწეული ხარჯები ---- (1700) | 050 | 0,00 | 1 377,00 | საგადასახადო ვალდებულებები ---- (3300) | 190 | 0,00 | 0,00 |
| დარიცხული მოთხოვნები ---- (1800) | 060 | 19 609 450,24 | 4 570 557,21 | | 200 | | |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | 070 | 20 273 083,07 | 4 590 478,29 | **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | 210 | 19 610 804,37 | 4 571 903,09 |
| გრძელვადიანი აქტივები | | | | გრძელვადიანი ვალდებულებები | | | |
| მიწის ნაკვეთები ---- (2110) | 080 | 607 600,00 | 607 600,00 | გრძელვადიანი ვალდებულებები ---- (4220) | 220 | 0,00 | 0,00 |
| შენობები ---- (2130) | 090 | 1 714 473,45 | 1 706 948,53 | **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | 230 | 0,00 | 0,00 |
| ოფისის აღჭურვილობა ---- (2160) | 100 | 1 358,43 | 1 086,74 | საკუთარი კაპიტალი | | | |
| გრძელვადიანი ინვესტიციები ---- (2400) | 110 | 63 165,07 | 63 165,07 | საწესდებო კაპიტალი ---- (5100) | 240 | 20 000,00 | 20 000,00 |
| არამატერიალური აქტივები ---- (2500) | 120 | 186,07 | 158,16 | რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება----(5400) | 250 | 3 029 061,72 | 2 377 533,70 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | 130 | 2 386 783,02 | 2 378 958,50 | **სულ საკუთარი კაპიტალი** | 260 | 3 049 061,72 | 2 397 533,70 |
| **სულ აქტივები** | 140 | 22 659 866,09 | 6 969 436,79 | **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | 270 | 22 659 866,09 | 6 969 436,79 |

## საქმიანობის შედეგების (მოგება–ზარალის) წლიური ანგარიშგება 2016 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება | –საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი “ქართუ” |
| ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმა | –ორგანიზაცია |
| იურიდიული მისამართი | – ჭავჭავაძის 39ა |
| დარგი (საქმიანობის სახე) | – ქველმოქმედება |

| მაჩვენებლების დასახელება | შემოსავლები | ხარჯები |
|---|---|---|
| შეუზღუდავი ფონდების ნაწილში | | |
| შემოსავლები | | |
| შემოწირულობები | 113 406 350,00 | x |
| სხვა შემოსავლები (დაბრუნებული თანხები, საკურსო სხვაობა) | 1 435 822,32 | |
| სულ შემოსავლები | 114 842 172,32 | x |
| ხარჯები | | |
| საქველმოქმედო პროექტების ხარჯები | x | 114 986 790,97 |
| ადმინისტრაციული ხარჯები | x | 272 181,71 |
| სხვა ხარჯები (საკურსო სხვაობა, საპროცენტო ხარჯი) | | 234 727,66 |
| სულ ხარჯები | | 115 493 700,34 |
| | | |
| წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება) | | -651 528,02 |
| | | |

# ა(ა) იპ „ასოციაცია ატუ“-ს 2016 წლის საგრანტო ფინანსირების პროგრამული ანგარიში

| საგრანტო ხელშეკრულებები | ფაქტიურად მიღებული ფინანსირება |
|---|---|
| ნაშთი წლის დასაწყისში | 467 686 |
| შემოსავლები | 74 877 009 |
| გრანტი ქართუ ფონდიდან | 64 540 924 |
| გრანტი კავკასიის ბუნების ფონდიდან | 34 316 |
| საკუთარი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები | 358 260 |
| უკან დაბრუნებული სხვა თანხები | 9 943 509 |
| მიღებული შემოსავლებიდან დაფინანსდა: | 70 894 927 |
| ბათუმის ბოტანიკური ბაღი 2016 | 480 880 |
| ბათუმისა და ზუგდიდის ბოტან. ბაღების მცენარეების შეძენა 2016 | 130 000 |
| ბათუმის დრამატული თეატრი 2016 | 2 120 000 |
| ბათუმის მწერალთა სახლი 2016 | 698 000 |
